# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე.

კვირა, ღვინობისთვის 31, 1920

№ 196.

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში ლაგერის (ვ გზლ.ს) ქ. № 5.

ამხანაგობა

,,პროვოდნიკი''

თბილისი სოლოლ. ქ. 4

მივიღეთ ნამდვილი

**მარსელის საპონი**

მაიყიდება

ნაჭრობით

სახელმწ. თეატრი

**ოპერა**

ოქტომბრის 31
თ ა ი ს ი
ნოემბრის 1
ვ ე რ ტ ე რ ი

დასაწყისი სრული სალ. 8საათზე
ოპერის დირექ. ი ეჯლახიშვილი.

**სახელმწიფო დრამის თეატრი.**

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

კვირას, ოქტომბრის 31 ს
**ოიდიპოს მეფე** სოფოკლესი
დასაწყისი საღამოს 8 და ნახ. საათზე
ორშაბათს, ნოემბრის 2-ს
1. დ რისპანის გასაჭირი
2. ჯრინეს გედნიერება დ. კლდიაშვილისა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათი 1920 წ. **ქართული კლუბი** 4 გიორგობის 1920 წ.

საღამოს 7 საათზე

დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

**წევრთა საზოგადო საგანგებო კრება**

**კლუბის არსებობის შესახებ შემდეგში.**

ვინიცობაა კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, შემდეგი კრება დაინიშნება 11 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, რომელიც კლუბის წესდების 31 მუხლის ძალით კანონიერათ ჩაითვლება რა მცირე წევრთა რიცხვიც გამოცხადდეს.

მამასახლისთა საბჭო.

**ფოთის ქალაქის გამგეობა.**

ეძებს ქალაქის დაბალ სკოლებისათვის

**ინსტრუქტორს**

თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე. მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს მომავალ მუშაობის გეგმა ,,კურიკულუმ ვიტე'' და პედაგოგიური სტაჟი. ჯამაგირი **8,000** მანეთი თვეში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა **15** ნოემბრამდე.

3—1 94

თეატრი **,,ელამი ჯიმი''** თეატრი

(ოლღას ქ., მ. არამიანცის სახლი).

დღეს, კვირას, ოქტომბრის 31 ს, 1-ლი დღის სპექტაკლი

ახალგაზდებისათვის, იაფ ფასებში.

დასაწყისი დღის სრულ 12 ნახ. საათ.

საღამოს უკანასკნელი დღე მე-41 ჭიდაობის.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათ. კონფერანსიე ფ. კურიხინისა. მთავარი რეჟისორი ი. ვოლსკი. რწმუნებ. ლ. კარტოვა.

ანონსი: ხვალ ორშაბათს, ნოემბრის 1 ს პრემიერისა. 3224. 1—1.

ქ. მილანში (იტალიაში)

მკათათვის 1-დან დაარსდა ბ-ონ ლადო ჭედიას სახელობაზე

**კომერციული კონტორა**

რომელიც შუამავლობს, საქართველოს და იტალიელ ვაჭართა შორის ბაზრის ცნობებს.

ვთხოვთ საქართველოს ვაჭარ-მრეწველთ მიმართონ ხსენებულ კანტორის ყოველგვარი ცნობებისათვის

სიონიორ ს. ველდემიროვი 37 კორსო ბუნეს აკრეს 37

მილანიი იტალია

3—1 3221.

ბ—ი—უ—რ—ო

ივანე თეიმურაზის-ძე გვათუასი

ოლღას ქუჩა № 3

**,,კონკურენცია''**

გადაწერა და გადათარგმნა სხვა და სხვა ენებზე.

აქვე წერის შესწავლა

საწერ მანქანებზე ამერიკული ბრმა მეთოდით.

1—1 3227

მამული, **სახლი** აგარაკი

**ყიდვა-გაყიდვა**

აქვს დიდი კლიენტურა.

დავითის ქ. № 3. ბინა 2. გოლოვინის პროსპექტის ახლო.

,,ნტელიგენტთა ჯგუფი''

1—1 3225

## სამუსლიმანო საქართველოს საფრთხე.

ცუდი ამბები მოგვდის სამუსლიმანო საქართველოდან! ოსმალეთმა ხელახლა მიაპყრა ყურადღება ამ კუთხეს და ჩალმოსან კომუნისტის მუსტაფა-ქემალ ფაშას საშუალებით ჰლამობს აღგავოს იქ საქართველოს ხელმწიფება. ,,სულ ახლო ხანში—სწერს ქემალისტების ახლად გამოცემული პროკლამაცია—ჩვენ ომს გამოვუცხადებთ ჩვენი სარწმუნოებისა და ხალხის უფლებათა მტრებს! ჩვენი ჯარები გიახლოვდებიან თქვენ''.

ოსმალეთის კომუნისტურ იმპერიალისტებს ხელსაყრელ დროის ამორჩევა სცოდნიათ თავის ზრახვათა მისაღწევად. ასე ნიადაგი არა გვგონია როდისმე შემზადებული ყოფილიყოს პანისლამისტების მუშაობისათვის საქართველოს სამუსლიმანო ნაწილში. ქართველი მუსლიმანები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებიან იმ წესებს, რომელიც ეხლა დამყარებულია ბათომის ოლქში და სწორედ ეს გარემოება აადვილებს ოსმალეთის აგენტების მუშაობას ჩვენი ძმების—ქართველ მუსლიმანების შორის.

რა ხდება ბათომის ოლქში და რა აღელვებს მშვიდობის მოყვარე ქართველ-მაჰმადიანებს? ამაზე ,,საქართველო''-ს ფურცლებზე და ზოგიერთ სხვა გაზეთებში უკანასკნელ დღეებში საკმაოდ იწერებოდა. შემოწმებული ფაქტები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, თუ რა ურა ადამიანებია მიშვებული ამ ქვეყანაში და რა საშუალებებია იქ მიღებული ამ კუთხის უეჭველ დაგარგვისათვის. ის, რაც იქნის ბათომის ოლქში დღევანდელ ,,საგანგებოდ'' მიყენებულ გამგებელთა ხელით, თანაბრად აღონებს როგორც ქრისტიან, ისევე მაჰმადიან ქართველებს. ორივეთათვის გაუგებელია ის დერჟიმორდული ტაქტიკა, რომლითაც ბათომის საგანგებო კომისარიატი ,,ჰნერგავს'' ეროვნულსა და სახელმწიფოებრივ პრიმატს საქართველოს პატრიარქულ კუთხეში! ნუთუ საკმარისი არ არის ოსმალეთის აგენტების დაუცხრომელი მუშაობა. სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენგან მოწყვეტისათვის, რომ ჩვენც არ ვეხმარებოდეთ მათ ჩვენივე სამშობლოს დასაღუპავად!

არა ერთგზით მიგვიქცევია მმართველი პარტიისა და მისგან დაწესებულ მთავრობის ყურადღება, რომ განაპირა კუთხეებში ყოვლად შეუწყნარებელია იმავ პოლიტიკის წარმოება, რასაც ადგილი აქვს ცენტრალურ მაზრებში. ჩვენ ვამბობთ, რომ სწორწარზიდული სოციალისტური პოლიტიკა საზოგადოთ საქართველოსთვის მიუღებელია, ხოლო მის სამაჰმადიანო ნაწილისათვის ამ პოლიტიკის მავნებლობის გათვალისწინებაც შეუძლებელია.

ქართველი მენშევიკების თავები ახირებული დოგმებით რომ არ იყოს გამოთაყვანებული და ზოგჯერ მაინც რეალ სინამდვილეში იხედებოდნენ ორტოდოქსი—სოციალ-დემოკრატები, ალბად, შეამჩნევდნენ, რომ დემოკრატიულ საქართველოში ობიექტიური პირობები მეტისმეტად აძნელებენ მარქსის მოძღვრების გადმონერგვას ჩვენს მიწაწყალზე. ,,პატივი'' საქართველოს ნიადაგისა ვერ ,,იტანს'' სოციალისტურ ექსპერიმენტებს; ყოველს შემთხვევაში, ნაყოფი ,,მკვდრადშობილად'' ისახება!

ვერ იქნა და ვერ დავაჯერეთ მენშევიკები—შეეცვალათ სახელმწიფო მმართველობის მეთოდები დროსა და გარემოების მიხედვით! ჩაეხედათ დემოკრატიის ინტელექტის სიღრმეში და მიეწოდებინათ ,,ჩასატევი'' მასალა...

შუაგულმა საქართველომ ვერ გაუძლო მარქსიზმის ,,კულინარებს'' და გადამეტებულ ,,დიეტაზე'' დარჩა! ჯერი მიდგა სამუსლიმანო საქართველოზე... ერთობ ვშიშობთ, რომ ამ ქვეყანას ანეგდოტურ ,,ციგნის'' ბედაურის ბედი არ ეწიოს...

მეტის მეტად სამწუხაროა, რომ ექსპერიმენტის ობიექტად მენშევიკებმა საქართველოს ის კუთხე აირჩიეს, რომელსაც უაღრესად სათუთი მოვლა და პატრონობა ესაჭიროებოდა.

ავიცდინოთ კარზე მომდგარი საფრთხე! შევცვალოთ სახელმწიფოებრივი ყოფაქცევა! ნუ ჩავუგდებთ მშვენიერ აჭარას ქემალისტებს დასარბევად.

მშვიდობა და წესიერება, პატიოსნება და გულწრფელობა მივუძღვნათ ოსმალეთის მონობისაგან თავდახწეულ მუსლიმან ქართველებს...

## ერაძე და შავი ქვა

დეპეშა ლონდონიდან

აღმოსავლეთის სატელეგრაფო კომპანია

მიღებულია თბილისში ოქტომბრის 30 ს 1920 წ.

მიღებულია ლონდონიდან.

გამოგზავნილია ოქტომბრის 8 1920 წ.

საქართველოს დელეგაციას 14 ქუჩა სანს-პერა სტამბოლში.

გთხოვთ აცნობოთ თბილისში ,,ჩემოს''.

მადანს, რომელიც თქვენს მიერ გაყიდულია მომარაგების სამინისტროსადმი უმთავრეს ქარხნებს აწვდიან სხვა და სხვა პირები და მით სრულებით ახშობენ ჩვენს მუშაობას.

მომხმარებელნი ხედვენ, რომ ჩვენი მონოპოლია ფიქტიური ხდება.

რომ ვიხსნათ მდგომარეობა, გადავწყვიტეთ შევისყიდოთ სპეკულიანტების ხელში ჩავარდნილი მთელი მადანი რა ფასიც არ დაგვიჯდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს ჩვენს სქმეს სამუდამოთ სახელი გაუტყდება, როგორც მომხმარებლების, ისე კომპანიონების წინაშე.

ნიკოლაძე.

ზემოთ მოყვანილი ბ. ნ. ნიკოლაძის დეპეშის შინაარსი. უკანასკნელ ორიოდე ფრაზითაა განსაზღვრული, მაგრამ მისი მნიშვნელობა აურაცხელია და იგი ეხება მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის უკუღმართობას. მენშევიკებს ჰგონიათ, რომ მონოპოლია ყოველთვის ფისკის სასარგებლოთ შემოჰქონდათ ევროპაში. წინააღმდეგ თუ ეკონომიურსა და ფინანსიურ მეცნიერებას დაეკითხებიან მენშევიკები, თუ ისინი ჰკუ-

# დღეს

ბერძნები ყირიმის მთავრობას ეხმარებიან.

შვეციის პარლამენტი გერმანიას დახმარებას ჰპირდება

გერმანიის უნივერსიტეტში ყოველ ოთხ გერმანელ სტუდენტში ერთი უცხოელია.

ტფილისში გუშინ ტალღისებური მიწის ძვრა იყო.

## წერილები.

მეთაური: სამუსლიმანო საქართველოს საფრთხე.
ერაძეს შავი ქვა.
ლ. სარბიელი: ფურცლები.
ლიტერატურა და ხელოვნება.
შ. კარმელი: მშვენიერი ელენე. გრ. რობაქიძე: ნოე ჩხიკვაძე.
ისკანდერ მუნჯი: დღიურიდან.
სვ. ყიფიანი: ფიცი.
ჩვენი კორესპოდენტები: აბაშა, ოზურგეთი, თერჯოლა.

---

ის სასწავლებლათ მიმართავენ ინგლისისა და სხ. სახელმწიფოთა ეკონომიურ პრაქტიკას და ხელს აიღებენ ბოლშევიკებთან ნათესაობაზე, ისინი დაინახავენ, რომ მონოპოლია უმთავრესათ მაშინ აწესებდენ, როცა სურდათ საკუთარ მრეწველობის განვითარება.

ჩვენში ხომ ყველაფერი უკუღმა უნდა დაიწყო მენშევიკებმა. შეუწყნარებელია თამბაქოსა, მატყლისა და სხ. მონოპოლის ჩატარება, მაგრამ კიდევ უფრო საშინელია მარგანეცის მონოპოლიისათვის ასე ტლანქათ ხელის შეშლა, ჩვენი ინტერესების სრულიად საწინაამდეგოდ მოქმედება. ნიკოლაძის დეპეში მხოლოდ მოკლედ ეხება ულრმეს იარას ჩვენი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისა".

მთელი ჭიათურის მარგანეცი ჩვენს ხელშია; ერთად ერთა მისი გამყიდველი „ჩემო" უნდა ყოფილიყო ევროპის ბაზარზე. აქ საქმეში ერევა ისევ ერაძის ცოდვილი სამინისტრო. დიდი ბრძოლისა და დავიდარაბის შემდგომ ერაძემ თავისი გაიტანა და მარგანეცის ნაწილი თვითან გაზიდა თავისი რწმუნებულთა საშუალებით. მერე რათ დასჭირდა სახელმწიფოს, რომ მარგანეცის გამყიდველათ „ჩემოსთან" ერთად მომარაგების სამინისტროც ყოფილიყო? არსებობს თუნდაც რაიმე საბუთი უფლების ამ განაწილებისათვის ჩემოსა და მომაგრაგ. სამინ. შორის? არავითარი! ესეთი უფლებათა განაწილება ყოველთვის ვნებს მონოპოლიას. ერთის ნაცვლად ჩნდება ბაზარზე ორი მიმწოდებელი ეს საუკეთესო შემთხვევაში. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა ვიცით რომ მომარ. სამინის. არავითარი აპარატი, არავითარი ცოდნა—გამოცდილება, არავითარი ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ არა აქვს, როცა ვიცით, რომ მომარ. სამინისტ. კაცები უცხოეთში გარეტიანებულივით ეცემიან ათას აგენტებს და მაკლერებს და აჩქარებით ათას უცნობ პირებთან იჩენენ, იკავებენ საქმეებს—ცხადია ერთათ ერთი მომარ. სამინ. ქმნის შთაბეჭდილებას ბაზარზე, რომ ჩვენი მარგანეცის მიმწოდებელთა რიცხვი დიდია, მთელი ლაშქარია და ამით სწორეთ მომარ. სამინისტროა, რომ არღვევს მონოპოლიას, არღვევს „ჩემოს" უფლებას, ვნებს ჩვენს საგარეო ვაჭრობის საქმეს, აზარალებს ჩვენს ხაზინას, ნიადაგს უთხრის ჩვენს მრეწველობას, ამ უდიდეს დარგს ჩვენი სახალხო მეურნეობისას. ამაზე შორს წასვლა ხომ შეუძლებელია!

ვის აქვს საქმე სპეკულიანტებთან?

ერაძის სამინისტროს!

ვინ ჩაუგდო ხელთ მარგანეცი სპეკულიანტებს?

ერაძის სამინისტრომ!

ვინ ჰქმნის პირობებს, რომელიც ხელს უშლის საღ მონოპოლიას ჩვენში?

ვინ უტეხს სახელს ჩვენს მონოპოლიას უცხოეთში, ჩვენს მრეწველობას და საქმიანობას?

ერაძის სამინისტრო და პლეიადა სპეკულიანტებისა, რომელთანაც მას აქვს საქმე.

---

# ფურცლები.

## ნუ თუ ბავშებს მაინც არ შეიცოდებენ?

სკოლა და პოლიტიკა—ეს საკითხი ისევე ძველია, როგორც თვით სკოლა, ან პოლიტიკაა.

რამდენ მოხუც პედაგოგს შეუწირავს თავი სკოლის თავისუფლებისათვის და მისი პოლიტიკისაგან დაშორებისათვის!

რამდენი ფურცელი ქაღალდი შეწირულა ამ მწვავე საკითხისათვის და დიდი ბრძოლით მოუპოვებია თ ნამედროვე სკოლას მისი კედლების სიწმინდე და მასწავლებლის მაღალი ტრიბუნა.

ასეთია სკოლა იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი კულტურაა და სკოლა მსახურობს პროგრესს და ცივილიზაციას—აქ მოზარდი თაობის ახალგაზრდა სული თავისუფალია პოლიტიკის ცეცხლიანი და მწვავე ბრძოლისაგან, რომელთაც თანამედროვე სახელმწიფოებში, სადაც ქუჩა, გაზეთები, თეატრები და ყოველი ატომი ქალაქის ჰაერისა.

ასეა დაწინაურებულ ქვეყნებში და სკოლის ამ მონაპოვარს იქ, განსაკუთრებულ პატივით ეპყრობიან.

და ამიტომ, ჩვენთვის გასაგებია ის აღშფოთება, რომელსაც იწვევენ ევროპაში ბოლშევიკების სკოლები.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ლონდონში გამოვიდა ქ-ნ სნოუდენის წიგნი რუსეთის შესახებ, რომელშიც ინგლისელი ქალი სასოწარკვეთილებით აღნიშნავს, რომ ბოლშევიკები სკოლაშიც შეჰქრენ და პოლიტიკის შხამიან ყვავილებს ჰხერგავენ ბავშვების ფაქიზ სულში.

ქ-ნი სნოუდენი ამბობს, რომ ეს გარემოება ბოლშევიკებს, განსაკუთრებულ დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოსთ.

ამას ამბობს ქ-ნი სნოუდენი, სოციალისტი ქალი, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინეთ დიდი პატივით და ზეიმით მიიღეს საქართველოში ჩვენმა მენშევიკებმა.

ქართველმა მენშევიკებმა ინგლისელი ქალს და მისი სხვა ევროპიული ამხანაგებს მთელი საქართველო შემოატარეს და ტრაბახის კორიანტელში თვალები აუბნიეს და იცით როგორ?

ევროპის სოციალისტებმა განაცხადეს, რომ მათ საქართველოსაგან უნდა ისწავლონ სოციალისტური სახელმწიფოს აღმშენებლობა.

და როდესაც საქართველოში მყოფი ევროპის სოციალისტები, სახლში დაბრუნებულნი, თავიანთ მყუდრო კაბინეტებში შეუდგებიან მენშევიკების მიერ მიწოდებულ მასალის შესწავლას, იქნებ ასეთ ცნობებსაც შეხვდენ იმ საკითხის შესახებ, რომელიც ქ-ნ სნოუდენს აინტერესებს:

სკოლისა და პოლიტიკის შესახებ.

აი ერთი მაგალითიც:

სენაკის რაიონის
კოოპერატ. კავშირი
„ხალხის სიმაგრე"
№ 2310
12 ოკტომბერი 1920
ქ. ახ.-სენაკი.

ახალ სენაკის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს.

სენაკის რაიონ. კავშირის გამგეობას აქვს პატივი გაცნობოთ, რომ ხსენებული კავშირის ყრილობის მიერ დაწესებული სტიპენდიები რაკი ის პედაგოგ. საბჭოს მიერ მიეცა უფროსი კლასის მოწაფეებს, რომელთა მსოფლიო მხედველობა დაახლოვებით უკვე ჩამოყალიბებული, უნდა მიღებულ იქნეს სახეში მათი პოლიტიკური რწმენაც და მიეცეს იგი მხოლოდ სოციალისტებს. ამიტომ თქვენი კანდიდატურა მიწ წერილი, გამგეობას მიაჩნია მიუღებლ და გთხოვთ წარმოგვიდგინოთ სხვა კანდიდატი.

გამგეობის თავმჯდომარე: რ. გამბა ხურდა, მდივანი: ი. მატახერია.

ამ დოკუმენტს კომენტარიები არ სჭირდება!

მენშევიკების სამარცხვინო ხელმწიფეების ისტორიაში, ალბათ იგი ხშირად აღგილს დაიმსახურებს.

მაგრამ ჩვენ გვეშინია დღეს სწორედ იმის რის შეეშინდა ქ-ნ სნოუდენს რუსეთში ყოფნის დროს.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკებს და საერთოდ სოციალისტების ხელმწიფება მეტად დროებითია, მაგრამ ვაი, რომ ბავშვების ნაზ სულში ძალიან ადვილად იბეჭდება ყოველივე ბოროტი გავლენა.

და ამის ამოფხვრა, მეტად ძნელი იქნება.

ნუ თუ ბავშებს მაინც არ შეიცოდებენ!

ლ. სარბიელი.

---

## საქართველო და ბოლშევიკები

გაზ. „პრავდა"-ში, რომელიც გამოდის ამერიკაში მცხოვრებ რუსებისათვის, (კომუნისტების ორგანო არ არის) მოთავსებულია შემდეგი რადიო.

ცნობა: „ლონდონი. აგვისტოს 25. ლონდონში ოფიციალურად იუწყებიან, რომ ყ ზ ხებმა ბოლშევიკებს წაართვეს რუშტი კასპის ზღვასთან. ბოლშევიკები წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

საქართველოს მისიამ მიიღო ცნობა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საზღვრებს ემუქრებიან. წითელ არმიის ერთმა ნაწილმა უკვე დაიკავა ნეიტრალური ზონა.

აზერბეიჯანის ნოტაზე ბოლშევიკებმა უპასუხეს, რომ წითელ არმიის სამხედრო მოქმედება მიმართულია მხოლოდ სომხეთის „პანების" წინააღმდეგ. საქართველოს მისია ჰფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ბოლშევიკებს ჰსურთ საქართველო-სომხეთზე გავლით ოსმალეთის ნაციონალისტებთან შეერთება."

---

## ფრანგულ-ქართული ბანკეტი პარიზში

სექტემბრის 27 პარიზში გაიმართა ფრანგ მოწვეულთა მიერ მოწყობილი ფრანგულ-ქართული ბანკეტი, ბანკეტზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში, საფრანგეთის მთავრობის მხრივ დაესწრენ: სახალხო განათლების მინისტრი ბ. გონნატი, მრეწველობის აღორძინების მინისტრი ბ. ლიუშერი, საგარეო საქმ. სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ლიაროში, ამავე სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების დირექტორი ბ. მილგო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ბ. შევალიე. და სხ.

საფრანგეთის მრეწველობის, კომერსანტების და ფინანსისტებიდან ბანკეტს დაესწრნენ: ბ. ჟილე (ლევანისა და რუსეთის სავაჭრო ბანკისაგან) ბ.ბ. ბალაში, ფონტენი და რომენი („კავკასიის საზოგადოებისაგან") ბ. გერბერტი (აბრეშუმის მრეწველი ფირმა „შაბრიერ მორელისაგან") ბ. ფერარი („ფერანის" ფირმისაგან) ბ.ბ. მერსიე და დემატრი (მარგანეცის ფრანგ მრეწველებისაგან) და მრავალი სხვა.

საქართველოს მხრივ ბანკეტზე დაესწრენ: ნ. ს. ჩხეიძე, ე. პ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ჰავჰანიძე, ი. ელიგულაშვილი და სხ.

ბანკეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნულანსი მიესალმა რა საქართველოს წარმომადგენლებს დიდი თანაგრძნობა (სიმპატია) გამოსთქვა ახალგაზრდა რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მიმართ. მან მოიგონა ქართველი ერის სახელოვანი წარსული და შემდეგ თანამედროვე საქართველოს შინაურ მდგომარეობის დახასიათებაზე გადავიდა: „ამ ორი წლის განმავლობაში საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დამოკიდებული არსებობა. თქვენი რესპუბლიკა თქვენი მეზობლებისათვის წესრიგისა და თავისუფლების მაგალითს წარმოადგენს. საფრანგეთი ვალდებულია დიდის ყურადღებით და გულწრფელი თანაგრძნობით მოეპყრას საქართველოს და დახმარების ხელი გაუწოდოს მას სთქვა ნულანსმა.

თავმჯდომარის შემდეგ ვრცელი, საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ბაირმა, როგორც საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელმა.

ბ. ბაირმა მოიგონა საფრანგეთის კაპიტალის დიდი ხნის მუშაობა საქართველოში—ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში, სპილენძის მადნეულობაში და წყლის ენერგიის ელექტრიფიკაციის საქმეში, პარიზი—როგორც პირდაპირი მონაწილე მთელ რიგ სამრეწველო დაწესებულებების, რომელიც საფრანგეთის კაპიტალით შეიქმნა საქართველოში, აღნიშნავს, რომ იგი იცნობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და ქართველ ხალხს. მას მტკიცედ სჯერა, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკის ბრწყინვალე მომავალი ექნება. ბაირს თვალსაჩინოდ მიაჩნია საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული შედეგები, მაგრამ მომავალში იგი მისგან უფრო მეტს მოელის.

ბაირმა თავის სიტყვის დასასრულ სთქვა: ეს დიდი მუშაობა, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში გასწიეს აქ წარმოდგენილმა საფრანგეთის ფირმებმა, ნათელ ყოფს ამ ქვეყნის ბრწყინვალე პერსპექტივებს აბრეშუმის, მატყლის, ტყავის და თუთუნის გატანის საქმეში, ხოლო მომავალში თუ ელექტრონის მრეწველობა აღორძინდა, ხეტყის გატანაც შეუქმნის მრავალმხრივ საუკეთესო პირობებს. თქვენში ყველაფერი მოიპოვება, რაც საჭიროა ვაჭრობის განვითარებისათვის, რომ ამ გზით მიიღოთ თქვენის საჭირო საფასური და განამტკიცეთ თქვენი ვალიუტა. თქვენში მომუშავე ფრანგებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ თქვენს ინჟინრებსა და მუშა-მოსამსახურეებს. იმათ იციან თუ როგორის ხალისით ეწაფებიან ქართველები ახალ საქმეს და როგორ ადვილათ ითვისებენ ახალ ცოდნას.

ჩვენ სიამოვნებით ვიმუშავებთ ორ სახელმწიფოთა დასაახლოვებლათ. ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ მოკლე ხანში საფრანგეთში შევქმნათ ლიცეი, რომელშიაც შეისწავლია სპეციალურ საგანს საქართველოდან გამოსულ ახალგაზრდები. ნულანსისა და ბაირის საპასუხოთ სიტყვები სთქვეს კ. პ. კანდელაკმა, ე. პ. გეგეჭკორმა და ნ. ს. ჩხეიძემ. კანდელაკმა თავისი სიტყვაში დახატა საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფოში სამრეწველო ძალების განვითარებას შემდეგ ბ-ნმა კანდელაკმა სთქვა: „ევროპის მოწინავე ხალხთა ცოდნამ და გამოცდილებამ უნდა აღადგინოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, საქართველოს დაფარულ ბუნებრივ სიმდიდრეთა აღმოჩენისათვის. ფრანგ მრეწველებს რომელნიც ცხოვრობენ ჩვენთან სერიოზულ მუშაობის აღორძინების დასახმარებლათ ყველა ბაზარს ჰპოვებენ საქართველოს მთავრობის მხრით დახმარებას.

მე შემიძლია შეგპირდეთ, რომ ამგვარ მუშაობაში მათ უარს არ ეტყვიან. ფინანსთა მინისტრის შემდეგ ილაპარაკა ე. პ. გეგეჭკორმა. თავის მოკლე სიტყვაში, რომელიც წარმოთქმული იყო ფრანგულ ენაზე ე. გეგეჭკორმა ნულანსსა და ბაირს მადლობა გადაუხადა საქართველოს მიმართ ასეთი თბილი გრძნობების გამოთქმისათვის. საფრანგეთის დახმარება სთქვა მან ძვირფასია ჩვენთვის, ასეთი გზით შესაძლებელია განმტკიცდეს მეგობრული კავშირი საქართველოსა და თქვენს რესპუბლიკას შორის, რომელმაც მისცა მთელ ქვეყნიერებას თავისუფლების პირველი გაკვეთილი. ბანკეტის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჩხეიძემ. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ გამოსთქვა თავისი ღრმა რწმენა, რომ არც საქართველოში და არც საფრანგეთში არ იქნება ასეთი ადამიანი, რომელსაც ამ ორ სახელმწიფოს ეკონომიური თანამშრომლობა მიუცილებელ საჭიროებათ არ მიაჩნდეს, ასეთი ეკონომიური დამოკიდებულობა ურთიერთ შორის აქამდისაც უნდა დაგვემყარებია, მაგრამ დაგვიანებული არც ახლა არის. უნდა ვიზრუნოთ, რომ ასეთი დამოკიდებულების დამყარებას ხელი არაფერმა შეუშალოს. სამწუხაროთ დღესაც არ არის თავიდან აცილებული ყველა დაბრკოლება.

საქართველოს რესპუბლიკა ჯერაც არ არის იურიდიულად ცნობილი, და გარემოება ბორკავს მას როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ სფეროში. ორი სფერო ძალიან მჭიდროთ არის დაკავშირებული ერთმანეთთან მათი განცალკევება შეუძლებელია. ორი ქვეყნის ეკონომიური და ხლოვებისათვის აუცილებლივ საჭიროა მათი პოლიტიკური დაახლოვებაც დასასრულ ნ. ს. ჩხეიძემ გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ საფრანგეთის მართველი წრეები, რომლებიც დაესწრენ ამ ბანკეტზე, რომ ამით საქართველოსადმი თავისი მეგობრული გრძნობა გამოუცხადებიათ, ხელი შეუწყონ საქართველოს ეკონომიური დაახლოვებისათვის ყოველ ღონეს იღებენ დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისაგან და კერძოთ საფრანგეთის მთავრობისაგან საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის დაჩქარებლათ. (ს. დ. ს.).

---

## უცხოელები გერმანიის უნივერსიტეტში.

გერმანიის უნივერსიტეტები უცხოელებით გაივსო. ყოველ ოთხ სტუდენტში ერთი უცხოელია.

(ს. დ. ს.).

---

# ლიტერატურა და ხელოვნება.

## მშვენიერ ელენეს.

მზეში თუ ბანაობ:
ისე გაქვს სხეული ნარითმი ყავაზე.
მიდიხარ... მიდიხარ... ეშხით მიტანაობ.
მძაფრი აღელვება ყველას შეთავაზე.

მგონია: მომაწვდი შარბათით ხელადას:
იქნება დათრობა მეტად უნაზესი...
ვნებიან თვალებით ატარებ ელლადას
და ტრფობით დასიცხულს გაგრილებს ფაზისი.

მინდა მოგიტაცო მე როგორც პარისმა:
როცა გრიალობენ შენით კლავიშები.
მაგრამ შენს კარებთან დარაჯ კიპარისმა,—
ისევ შემაჩერა და არ გავიშვები.

ახ! წმინდა ელენეს ვარ მე კუნძულელი...
ვარ მე პატიმარი მზიურ გეტერასი...
მზიური გეტერა... გეტერა... გეტერა...
ათასი ავარდნა გიჟი და სულელი
მომინდა, როდესაც ამთვარდა ტერრასა...
არ იყო ალერსი... მინდოდა მეტირა!..

შალვა კარმელი.

1919. ქუთაისი.

## ნოე ჩხიკვაძე.

ნოე ჩხიკვაძე ლამანჩის რაინდის შთამომავალი თუ იყო. უკანასკნელის ლანდს ხშირად გადურბენია იბერიის ველები და შეუძლია აქ არა არის რა. მას არ ჰყავ და ხმელი როსსინატი. არც მოკლე და მსუქანი სანჩო პანსო დაჰყვებოდა მასთან. მაგრამ მას ჰქონდა სიყვარული უცნაურის და შორეულის. ესპანელსავით მას უყვარდა დაძლევა შეუძლებელის და დაურვება მიუწდომელის. ხშირად ამ გაქანებაში მას მიწის ნიადაგი ეცლებოდა: მაგრამ მთვარე ლანდური სინამდვილით ათრობდა მას და ისიც იყო მისი მეოცნებე. ლამანჩის რაინდის წისქვილები მას ალბად არ ასვენებდენ: როცა იგი წისქვილით გამდიდრებას აპირებდა. წარმოდგენილი მაქვს მთელი მისი ფიგურა ამგვარი პროექტის გადაშლის დროს: მოტორიანი წისქვილი, დღეში ორმოცი ათასი ფუთი სიმინდის დაფქვა, სიმდიდრე, უზრუნველობა, მეგობრების დახმ., წიგ. გამოცემა, ქეიფი, ხალისი. საშა აბაშელი და ერთიც სხვა ვინმე, რომელთაც ნოე ამ გეგმას აცნობდა, ვერასოდეს დაივიწყებენ მის ავარვარებულ სახეს, რომელიც ალბად ამ უცნაური წისქვილის ხილვით იყო ანთებული.

საკვირველია მხოლოდ ერთი რამ: ლამანჩის გმირი ლამობდა დასახლებას. ოცნება და ნიადაგი. მთვარე და მიწა. ამ პარადოქსით იყო ჭირვეული ნოე. საქართველოს ლიტერატურაში შედევრად დარჩება ნოეს ფოთის სახლის ამბავი, რომელსაც ასეთი სიყვარულით მოგვითხრობს მისი მეგობარი და ნათესავი საშა აბაშელი. 1908 წელს ნოე ფოთში დასახლდა, აბაშელი იწვია. ნოემ სიხარულით მიახალა: საკუთარი სახლი ავაშენე. აბაშელი გაოცდა. ნოეს მიჰყავს იგი სახლისაკენ. აბაშელი კიდევ უფრო ოცდება, რომ ნოე ქალაქის გარეთ მიდის. მაგრამ ნოე არ სცხრება: ფოთი ჩემი სახლისკენ წამოვაო. აბაშელიც ძალა-უნებურად უჯერებს ატეხილს მეოცნებეს. უახლოვდებიან სახლს. გაოცება აქ სიცილში უნდა გადავიდეს, მაგრამ აბაშელი სიცილს იკავებს და ღიმილით შენიშნავს: „ეს არის, ნოე, შენი სახლი"?! მართლაც: სახლი ერთი ოთახი ყოფილიყო ოთხ ბოძზე, შემდგომ თურმე ეს „სახლი" ქარმა წაიღო.

დასახლება აწვალებდა ნოეს, მაგრამ ვერსად სახლდებოდა. ფოთის შემდგომ იგი სოფელში დგამს სახლს. ცოტა ხანის შემდეგ იგი ჰყიდის ამ სახლს და თბილისში ყიდულობს პატარა სახლს. გადის დრო, ნოე ვერ ისვენებს: ყიდის ამ სახლს და ცოლშვილს სამტრედიაში ასახლებს. მაგრამ ნოე აქაც ვერ ისვენებს: ცოტა ხანის შემდგომ ხელმეორედ ყიდულობს თბილისში სახლს და ემზადება დასახლებისათვის. და ასე—ამნაირად: აწვალებს დასახლება, მაგრამ ვერსად სახლდება. ან როგორ დასახლდება?! ლამანჩის რაინდი და დასახლება?! ეს რაღაც წარმოუდგენელია. მით უმეტეს, რომ ნოე ამ რაინდობაში სხვაც იყო: პათოსით ქადაგი და ტემპერამენტით ფირალი.

დაუვიწყარია მისი ცხოვრებიდგან ორი ხაზი. ნოე ტარანებით ხელში ზის მატარებელში და სადღაც მიემგზავრება. ხალხის მასსა. ხმაური. აურზაური. ნაწყვეტი სიტყვები. ნოე ვერ ითმენს განზე—დგომას და მასსაში ერევა. თვალების ანთება და ხმის ამაღლება, კამათი და შეტევა. ვერ ისვენებს: თითქო ჯავრობს, რომ რაღაც მანქანას მიჰყავს იგი. და ასე ბოლომდის, ან კიდევ მეორე ხაზი. ნოე ქვემო იმერეთის სოფლის დღესასწაულზეა: „თემში". ჩხუბი ამგვარ დღესასწაულების აუცილებელი ატრიბუტია. იმართება ხანჯლობა და ნოეც გადავარდება შიგ. დაჰჭრიან მას ხანჯლით და სოფლიდან გაზეთს დეპეშს უგზავნის: დამსჭრეს ნოე ჩხიკვაძე, მაგრამ ცოცხალი ვარ და მტერს გაუსწორდებიო.

ნოე იყო ნამდვილი პოეტი. ალბად მისთვის იყო იგი ახლო „ყ წელლებთან": „შ ხვ-დრაში" და ლექსით დაწვაში. ბევრი მას „დეუნდობელს" ეძახდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტემპერამენტი „დაუდეგარი". მან იცოდა სხვისი „გაწირვა", მაგრამ მან იცოდა თავის—„შეწირვაც": ეს არა ხთელებს მას სრულიად. ქადაგი და ფირალი: იგი იყო მეომარი პოეზიაში. ყველასთვის, ცხადია, რომ მას არ ჰქონდა ლექსის კულტურა. მაგრამ ქმნილებაში ხანდახან პიროვნება უფრო გაჯავრდება. ნოეს ლექსებში გიზიდავს მისი ხმალ ამართული პათოსი და გიპყრობს მისი უფსკრულის პირას მივარდნილი ტემპერამენტი. როგორც ქადაგი, იგი ახლო იდგა ფართო მასსებთან. მაგრამ როგორც ფირალი, იგი განზე იდგა ამათ. მან იცოდა სხვებთან ერთად შემართებულის შეძახილი; მაგრამ მანვე იცოდა განდგომილის გოდება და მარტვილის ცრემლები. ამ ცრემლებში ნოე ნამდვილი ლირიკოსია. ჩვენში ბევრი იწერება „ლირიული ლექსები", მაგრამ მათში ნაკლებია „ლირიკის" სურნელოვანი დაზბილება. უმეტეს შემთხვევაში მათ შემქნელთ აკლიათ ლირ ული „პატიოსნება": ხშირად ცრემლით ცხემუჭრებიან ქვეყნას და სულში ნაცარის ნასახიც არ აქვთ. ნოეს ჰქონდა ეს „პატიოსნება". მარტოობაში ნოეს აღმოხდა ისეთი ტირილი, რომლის მზგავსი იშვიათად გვინახავს ქართულს ლირიკაში. ნოეს ჰკითხულობს რედაქციაში ვიღაც (—ალბად წერილობით). რედაქცია სწერს უცნობს: „ნოე ჩხიკვაძე აქ არ არის, სოფელში ცხოვრობს", ნოე კითხულობს ამ უბრალო სტრიქონებს და ვეღარ ისვენებს უცნობის ვინაობით. იმთავითვე ატეხილი შთაგონებით და უცნობის წყენს ნამდვილს მოთქმ ს:

ვინ მკითხულობ? ვინ დამეძებ? ვის გაყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი ხმა გამე!
ირგვლივ ცივა... სიხლიანი ღამე, ღამე;
გული მტკივა, სანუგეშოდ მითხარი რამე!

არვინ მყავდა, არავინ მყავს, არავინ ვერ...
სადღეგრძელო მეგობარო, მომეცი ხელი!

. . . . .

უდარდოდ ვკვდები ამ ცხოვრებას ცუდ სიმარ...

. . . . .

რად მკითხულობ? ეგებ რამე დაგრჩა სათქმელი...
გაგისწორდი, რა მაქვს ძმ. ო, თუ ჩემი დღე...

. . . . .

პოეტისგან რას მოელი, ვაჰ, ჩემო თავო!
მოგენატრე? მე არ მახსოვს, თუ ვინ ვუყვარდი...

. . . . .

ვინ ხარ, ვინა? არ გაქვს ბინა, ჩემებრ ლონდებ...
თუ არა, უეჭველად მოგაგონდები.

. . . . .

მომითმინე,—ჯერ ცხოვრებას გავუსწორდები!
მე მკვდარი არ ვარ... თუ გიყვარვარ, ვინ გიყვარვარ მე?
ცოცხალი ვარ, არ მოვკვდარვარ, რამე დღ, ხმა გამე!

ამაზე შორს თქმის უბრალოება ვერ წავა. აქ არ არის არც ფერადი და არც სახეობა, აქ არის სადა სიტყვა,—მაგრამ ისეთი თილისმით მოხვეული, რომ იგი პირველყოფილი ქვების ნატეხი გგონია. რამდენადაც მეტი ხავსი მოეკიდება მას ძვ, იმდენად მეტი სიძლიერე მიეცემა მათ მ...

გრიგოლ რობაქიძე.

# უცხოეთში

## უკრაინა.

გალიციის, საბჭოთა მთავრობა.

გაზ. ,,Нов. Р. Ж.“ იუწყება: ბოლშევიკებმა გალიციაში ყოფნის დროს დააფუძნეს გალიციის საბჭოთა რესპუბლიკა, გამოაცხადეს მიწის გლეხების თვის გადაცემა გალიციის საბჭო, რომელშიც შედიოდენ შემდეგი საბჭოთა კომისარები: ვალადიმირ ზატონკი, მიხეილ ბარანი, ივანე მემილოვსკი, აღმოსავლეთ გალიცია დამოუკიდებლათ გამოაცხადა მაგრამ გალიციის კომისრებს ნიშავდა უკრაინის კიევის მთავრობა მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრებიდან.

პეტლიურას გეგმები.

ჰელსინგფორსის გაზ. ,,Н Р. Ж.“-ნი გადმოგვცემს: ვენიდან იუწყებიან რომ პეტლიურას წარმომადგენელი შვეიცარიაში ნიკოლოზ ვასილკო მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის მთავრობასთან ბერლინში ცენტრალურ უკრაინის მთავრობის. მთავრობის შექმნის შესახებ, რომელშიც, ვასილკოს აზრით, შევლენ გერმანიის ორიენტაციის მომხრენი ვასილკო არასოდეს არ მალავდა თავის მტრულ დამოკიდებულებას რუსეთის და საფრანგეთისადმი. ამ ჟამად ის მდგომარეობას ხელსაყრელად სცნობს დამოუკიდებელ უკრაინის შექმნისათვის აშკარა გერმანოფილური ორიენტაციით ვასილკოს სამი მისანი აქვს დასახული: 1) გერმანიის დახმარებით, რომლის აღდგენაში მას ეჭვი არ ეპარება და ახლო მომავალის საკითხად თვლის დამოუკიდებელ უკრაინის შექმნას, 2) რუსეთის ეკონომიურად და პოლიტიკურად იზოლიაცია.

ვასილკოს აუარებელი ქონება აქვს. ამას გარდა მის ხელშია დიდი თანხები, გერმანელ წრეებისაგან მიღებული, რომელსაც უკანტროლოდ ახარჯავს ხსენებულ მიზნების მიღწევად მუშაობა. ვასილკო აგრეთვე აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისელებთან.

დღემდე ვასილკო პოლონეთ უკრაინის შეთანხმების მომხრე იყო და ამისათვის მუშაობდა გრაფ ტიშკევიჩთან ერთად დღეს მან დასტოვა ეს გზა და გერმანია უკრაინის დაახლოების აზრს იცავს.

## ყირიმი.

გრაფ პალენის და ბ. სავინკოვის არმია.

ბ. სუვორინის გაზეთი ,,ვრემია“ იუწყება, რომ გენერალმა მახროვმა, რომელიც პოლონეთში იმყოფება ინახულა ზოგიერთი რუსი გენერლები, რომლებიც გრაფ პალენის და სავინკოვის მიერ შექმნილ ჯარს ხელმძღვანელობენ. გენერლების სიტყვით არმია ახლო მომავალში დაიწყებს აქტიურ მოქმედებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. თავის მოქმედებას ამ ახალი არმიის სარდლობა გენ. ვრანგელის ოპერაციებს შეუფარდებს.

ამავე გაზეთის ცნობით, რუსულმა კომიტეტმა, რომელსაც პალენის ჯარები ექვემდებარება, ვრანგელის ძალაუფლება აღიარა.

## საბჭოთა რუსეთი.

ბოლშევიკი სარდალი ტყვეთ.

,,ჟურნალ დ. ორიან“-ი იუწყება, რომ პრუსიის საზღვრებთან რამოდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ სმირნოვი, საბჭოთა მეოთხე არმიის სარდალი, თავისი შტაბის და საბჭოთა მეხუთე დივიზიის ოფიცრებთან ერთად, გერმანიის საზღვარზე გადავიდა და გერმანელთა სანაპირო ადმინისტრაციას ჩაბარდა.

საბჭოთა მეცამეტე არმიის სარდლობის დახვრეტა.

ხარკოვის ,,იზვესტია“ იუწყება, რომ ბრძოლის ველზე დამარცხებისათვის დახვრიტეს: მეცამეტე არმიის სარდალი გენ. სვეჩნიკოვი.—ამავე არმიის პოლიტიკური კომისარები—მარკოვი და სებასტიანოვი, უფროსი ექიმი შვარდერი და არმიის ხაზინადარი.

**გერმანია და შვეცია.**

,,სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ შვეციის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ პრინც კარლოსმა განაცხადა, რომ შვეცია ყოველგვარ ნივთიერ დახმარებას გაუწევს გერმანიას. შვეციის პარლამენტს აზრად აქვს გერმანიისთვის 1,509,000 კრონი გადადვას.“

**ერთა ლიგის სასახლე.**

,,ჟენევაში ერთა ლიგას მიაკუთვნეს საგანგებო სასახლე სასტუმრო ,,ნაციონალ“-ში. სხდომებისათვის მიჩნეულია ,,დარბაზი რეფორმასონი“. ინტერნაციონალური ბიუროს პერსონალი შესდგება 400 წევრისაგან; ამ რიცხვში არ შედის ცალკე ეროვნული ბიუროების წევრი უფროს მდივანს დრიუმონს ეძლევა 10,000 გირვანქა სტერლინგი“.

## გერმანია.

ლედებურის სიტყვა პარლამენტში.

ლედებურმა პარლამენტში განაცხადა დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის სახელით მე მოვითხოვ დაუყონებლივ მოისპოს ბრძანება რუსეთის ბოლშევიკ დელეგატების ზინოვიევის და ლოზოვსკის გაძევების შესახებ. (სიცილი ხმები: რომელი დამოუკიდებელ სოც. პარტია?)

ლედებური: მე ვლაპარაკობ ერთად ერთი, ნამდვილ დამოუკიდებელ სოციალისტურ ფრაქციის სახელით.

ლედებურის სიტყვის გამო ხოლოდ მათ აქვთ უფლება ილაპარაკონ დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის სახელით, რომლის კონგრესიდან (ჰალები) გამოეყო ლედებური და მისი რეაქციური თანამოაზრეები. მათ შეუძლიათ რაც სურთ ის უწოდონ თავის თავს. მხოლოდ არა ,,დამოუკიდებელი სოციალისტები.“

ლედებურა, რომელიც განაგრძნობ და თავის სიტყვას, რომელსაც ხშირათ აწყვეტინებდნენ პროტესტებით და სიცილით, აფრთხილებს გერმანიის მთავრობას, თუმცა ის და მისი მეგობრები წინააღმდეგი არიან ბოლშევიკების, როგორც პოლიტიკური სისტემის გერმანიაში, მაგრამ მოითხოვენ, რომ საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს მოეპყრან პატივისცემით და ძალას ნუ მიმართავენ.

# დეპეშები

## რუსეთის ცნობები

მოსკოვი 27 ოქტ.

სამხედრო ცნობა.

ხერსონის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ალეშკი და მის სამხრეთით და ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდებარე სოფლები. ნიკოლოპოლის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება. დამატებითი ცნობებით 28 ოქტომ. ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 1.100 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი, 44 ტყვიისმფრქვეველი, 200 ურემი სამხედრო ქონებით. ჩვენ ბერდიანკი და 6 გაიასკი ავიღეთ

,,იზვესტია“ მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს ,,შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანება“ სწერს: ამ მოკლე დროში ჩიტაში მუშაობას დაიწყებს შორეულ აღმოსავლეთის ოლქების კონფერენცია შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანების და ცენტრალურ მმართველობის შექმნის საკითხის გადასაწყვეტათ. ამდენხანს ამ საქმის ხელის შემშლელი იყო ატამანი სემიონოვი, რომელიც ჩიტაში იყო და აღმოსავლეთს ორ ნაწილად ყოფდა: ვერხნეუდინოვისა და ვლადივოსტოკის მხრით. ეს რასაკვირველია იაპონიის იმპერიალიზმის დასტურით ხდებოდა. იაპონია სემიონოვს ეხმარებოდა. ეხლა ჩიტა წითელმა აჯანყებულებმა დაიკავეს. სემიონოვი ჰაეროპლანით გაიპარა. მისი მომხრეები დამარცხდენ, იაპონიას არაფერი აღარ დარჩენია გარდა იმისა, რომ ახალ მთავრობას კბილთა ღრჭენით მიესალმოს. ჩვენი წინასწარმეტყველება, რომ აღმოსავლეთში იაპონელები ჩქარობით ვერ გამოიჩენენ თქვა გამართლდა იაპონია დასავლეთით მდგომარეობის გართულებას ელის. ამ გვარად ჩიტას საკითხი დიდებითად სწყდება.

ყურადღების ცენტრი ეხლა ჩიტას კონფერენციაა რომელზედაც თავი მოიყარა შორეულ აღმოსავლეთის ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ამ კონფერენციაზე ეთმენთ შეეჯახება ვლადივოსტოკისა და ვერხნეუდინსკის თვალსაზრის ვლადივოსტოკში შესდგა კოალიციონური სამინისტრო ესერების და მენშევიკების მონაწილეობით. ამიტომ შესაძლებელია. რომ მკაცრი ბრძოლი მოხდეს. კონფერენციაზე იაპონიის გაელენა იქნება იაპონელები შეცდებიან იარაჯ ნ ფარული პოლიტიკით. ისინი დაინტერესებულნი არიან ციმბირის სახელმწიფოს შექმნით. ამიტომ ისინი მხარს დაუჭერს კოალიციურ მართველობის ცენზიანთა მონაწილეობით, რომლებიც ქვეყნის საკუთრების საკითესო წარმომადგენლებათ ითვლებიან. შორეულ აღმოსავლეთით დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთი მშრომელთა ინტერესების დასაცავად. საბჭოთა რუსეთი არიარებს შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლებას საბჭოთა რუსეთს არ სურს რომ შორეული აღმოსავლეთ რეაქციის ბუდეთ არ შეიქმნეს.

## ლიონის ცნობები.

ზარალის ანაზღაურებელმა კომისიამ სკაპა ფლოდში ფლოტის ჩაძირვის გამო გერმანიას დამატებით 83,000 ტონაჟი შეაწერა.

უნგრეთთან სატრანსპორტო ხელშეკრულების რატიფიკაცია ნოემბრის 18 გადაიდო.

ამირბარი კუნდურიოტისი საბერძნეთში რეგენტათ დაინიშნა.

ვენიზელოსმა განაცხადა: საბერძნეთისთვის საჭიროა ისეთი მეფე რომელზედაც გავლენას ვერ მოახდენს ყოფილი მეფე კონსტანტინე.

## ,,ზიმ ს“ ცნობები.

ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტები ბოლშევიკების წინაამდეგ.

ლონდონი. ,,ტაიმს“ იუწყება, რომ ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტების კონგრესმა ერთხმად უარჰყო ბოლშევიკური პლატფორმა.

ბოლშევიკების პროპაგანდა ინგლისში.

ლონდონი. ინგლისური პრესა იუწყება, რომ ბოლშევიკებმა დიდი სუმა და მისცეს გაზ. ,,დეილი ჰერალდს“ რომელიც ლონდონში გამოდის. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ბოლშევიკების მუშაობა ინგლისში.. მოწყო იქნა აგრეთვე დიდი ორგანიზაციები ,,წითელი პროპაგანდის“ სახელით, რომელსაც მოსკოვის მთავრობა მილიონობით აძლევს. მარტო გლაზგოში 1,000,000 ბოლშევიკური პროკლამაციების ცალი ვრცელდება ყოველდღიურად.

ნახშირი ყირიმისათვის.

სევასტოპოლი. ნიუ-იორკიდან (ინგლისი) მოვიდა ბერძნების გემი რომელმაც ჩამოიტანა დიდძალი ქვანახშირი ყირიმის ვაჭრობა-მრეწ. ელოპისათვის.

ინგლისური პრესა თემა.

ლონდონი. ,,ტაიმს“ იუწყება, რომ ინგლისის პრესა დღეს უმთავრეს ყურადღებას აქცევს ბოლშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

## სომეხ-ოსმალთა ომი.

სომხეთის დიპლომატიურ მისიისაგან. სომხ. ლაშქრის მთავარსარდლის შტაბის ცნობა.

ყარსის მიმართულებით.

ღვინობისთვის 29-ს დილიდანვე დაიწყო სასტიკი ბრძოლა მტერთან, რომელმაც ჩვენ პოზიციების მარცხენა ფრთას შემოგვიარა.

## ისკანდერ მუნჯის ფელეტონი.

# დღიურიდან.

**24 ღვინობისთვე.** ეს რა უბედურებაა! ღვინობისთვე კი არა, ულვინობისა და უპურობის თვეა სწორეთ, პური გირვანქა 6 თუმანია, ხორცი სულ არ არის. შაქარი არ მოდის. ნახშირი არ არის.

არა გვიშავს რა, გაზეთებში სწერენ: მალე ფქვილი მოგვივა ამერიკიდგან, მალე მუშათა მაგიდა კარგ პურს გამოაცხობს, მალე ყველაფერი გაიაფდება, მალე ანტანტა აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

ეს სიძვირე აჭირებს საქმეს, თორემ სხვაფრივ არა გვიჭირს რა. მინისტრები ყოველ დღე მიდიან სამსახურში ავტომობილებით. სხვილი მოხელენი—დირექტორები, კანცელარიის უფროსები, საქმეთა გამგენი ეტლებით, წვრილი მოხელენი მირბიან ფეხით (სამსახურში დაგვიანება სასტიკათ აკრძალულია) იღლიაში ამოჩრილი აქვთ ცალიერი პორტფელები (სამსახურიდგან პური მიაქვთ სახლში)

**25 ღვინობისთვე.** პური გირვანქა 7 თუმანია. ხორცი არ არის, ნახშირი არ არის.

გაზეთები სწერენ: მალე ფქვილი მოვა, ქალაქის გამგეობა შეშას ამზადებს ბორჯომში. კონტროლიც დ უნიშნავსთ შეშის მომზადებას. რა ბედნიერები არიან ქალაქის გამგეობის მოხელენი. ნეტავი მეც ქალაქის გამგეობის მოხელე ვიყო .. მაგრამ ვინ მაღირსებს ასეთ ბედნიერებას?

სხვაფრივ არა გვიჭირს რა. სახელმწიფოს ყველა დაწესებულებაში მუშაობა გაცხარებულია. თითო კაცი ათი კაცის საქმეს აკეთებს. გაზეთებში სწერენ: განზრახულია ყველგან შტატების შემცირება. ამას რესპუბლიკის ფინანსთა გაუმჯობესობა მოჰყვება: გაუმჯობესობას სიაფი, სიაფის კუჭის გაძღომა, გაძღომას ჯანმრთელობა.

ღმერთო, შენ გვიშველე! მინისტრებო, თქვენ მოგვხედეთ! მოხელეებო, თქვენ დაგვეხმარეთ!

**26 ღვინობისთვე.** პური გირვანქა 8 თუმანია. შეშა მოდისო ამბობენ, ნახშირი მოდისო, ფქვილი, მქვილი უეჭველათ მოვაო.

სხვაფრივ არა გვიჭირს რა. პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკისა, ჩინებულია. დემოკრატიზმიდგან სოციალიზმისაკენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ. კაუცკი ჯერ აქ არის. ამბობენ, ძლიერ მოსწონს საქართველო. ევროპა ხოლოთ ოცნებობს სოციალიზმზე, თქვენ კი უკვე დაგიმყარებიათ სოციალიზმიო. ეკონომიური მდგომარეობაც ჩინებულია. მართალია პური გვაკლია, მაგრამ არა გვიჭირს რა. „არა მარტო პურითა ერთითა ცხონდების კაცი“.

**28 ღვინობისთვე** ხორცი არ არის. პური, მადლობა უფალსა, გირვანქა 9 თუმანია.!

არა უშავს რა. მალე ყველაფერი გვექნება. მინისტრები ყოველ დღე იკრიბებიან სათათბიროთ. მოხელენი მუყაითათ მუშაობენ.

პური 10 თუმანი გირვანქა. ღმერთო! შენ გვიშველე. ალაჰვის იმედი აღარა გვაქვს.

**1 შიმშილობისთვე.** პური აღარ არის... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.. და მიუტოვე ცოდვანი ცოდვილთა უპურობისა ჩვენისასა, ვითარცა მივუტოვებთ ჩვენ სამინისტროსა მომარაგებისა ჩვენისა... უფალო, შეგვიწყალე... წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, შეგვიწყალე ჩვენ.

(დღიური შეწყვეტილია ამ სიტყვებზე: დღიურის დამწერი გარდაიცვალა. ღმერთმა შეიწყალოს).

## მიწის ძვრა თბილისში.

ოქტომბრის 29 შუაღამის 1 ს. 15 წ. თბილისში საგრძნობლად იძრა მიწა. თუმცა მიწის ძვრა გორის მიწის ძვრაზე უფრო სუსტი იყო, მაგრამ მაინც ბევრი გამოაღვიძა ძილიდან. მიწის ძვრის ეპიცენტრი ჯერ გამოურკვეველია. მიწის ძვრა იყო ჰორიზონტალური, ტალღისებური აღმოსავლეთიდან დასავლეთით და 5 ბალის ძალით აღინიშნა როსსი ფორელის კლდის ფიცარზე. მიწის ძვრამ გასტანა 5 წუთს.

## ერ.-დემ. პარტიის ცნობები.

ბარღების (სამურზაყანო) სათემო ერობის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა მოიყვანეს 20 ხმოსანი მენშევიკებმა 10 ხმოსანი სხვა პარტიებმა არც ერთი. ხინჯში ეროვ. დემ. მოიყვანეს 11 ხმოსანი მენშევიკებმა 13 ხმოსანი.

# ახალი ამბები

**გამომცემლობისაგან.** ქაღალდის გაძვირებისა და სამბეჭდო ნივთებისაგან დამოუკიდებელ პირობების გართულების გამო, გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა იძულებულია 1 ნოემბრიდან გაზეთის ფასი გაადიდოს 15 მან თით.

## მთავრობაში

— მთავრობის დადგენილება. მთავრობამ ოქტ. 26 სხდომაზე დაადგინა: დაავალოს ფინანსთა და სამხედრო მინისტრებს გადასწყვიტონ საკითხი თუ როგორ იქნეს გადიხდილი ინგლისის ჯარის და ბარგის გადასაზიდავი ფული, რომელიც საქართველოს რკინის გზას ერგება

— მთავრობამ დაადგინა უარყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა რომ თბილისის ქალაქის თვითმართველობას მისცეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან საქონლის გატანის უფლება ამასთანავე დაადგინა დაჩქარებულ იქნას ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონ-პროექტის დამუშავება.

მთავრობამ დაადგინა თანახმად ქ. ლანჩხუთის ქალაქთა თვითმართველობის დადგენილებისა გადაეცეს მას კვირძახის მამული უკვე შეფასებულ ფასებში.

— მთავრობამ მოისმინა ქალაქ ბათომზე სანიტარულ გადასახადის გავრცელების შესახებ მოხსენება და დაადგინა: 1. გაავრცელდეს ბათომზე დამფუძნებელ კრების ივლისის 18 დადგენილება. ამ დადგენილების ძალით ქალაქის თვითმართველობას უფლება ენიჭება განსაზღვროს სანიტარული გადასახადის რაოდენობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. 2. დაევალოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს, რომ სანიტარულ გადასახადის სახით მოკრებილი თანხა მოხმარდეს თავის დანიშნულებას.

— მთავრობამ დაადგინა შედგენილ იქნას კომისია მომარაგების სამინისტროს თავმჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კოოპერატივისათვის დახმარების აღმოსაჩენათ დასახელებულ კომისიაში უნდა შევიდნენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი.

— მთავრობამ მოისმინა მოხსენება კლუბების და რესტორანების დახურვის შესახებ და დაადგინა: 1. დაიხუროს კაფე-შანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვს. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორან., რომელსაც კაბინეტები აქვს. და სხვა ამგვარი დაწესებულებები. 2. დაწესდეს რესტორანებისა, სასადილოებისა და ამიკიტნოებისათვის ვაჭრობა საღამოს 10 საათამდი ახალი დროით. 3. სასტიკათ განისაზღვროს სამიკიტნოებისა და ყავახანების რიცხვი.

## სამინისტროებში.

— შრომის სამინისტროში. შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების განყოფილებაში შედის მრავალი თხოვნა ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა, რომელთა საბუთებიც ოსმალების შემოტევისა და ანარქიულ გამოსვლების გამო დაკარგულია. ეხლა მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამ საბუთების აღდგენა. ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო შრომის სამინისტროს სოციალ. დახმარების კომიტეტმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა დააკმაყოფილონ ამ გვარ პირთა შუამდგომლობანი მიუხედავათ საჭირო საბუთების უქონლობისა.

— სოც. დახმარების განყოფილებაში ამ ჟამად ირიცხება 1.200 პენსიონერი, რომელნიც თვიურად 550 დან 3.000 მანეთამდე ღებულობდენ. პენსიონერთა საერთო რიცხვიდან თბილისზე მოდის 75 პროც.

სოც. დახმარების განყოფილების მოსდის ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ქვრივებისა, ობლებისა და მშობლების-საჩივრები იმის შესახებ, რომ სამაზრო ერობათა გამგეობანი თვეობით აკავებენ მათ თხოვნებს. ხშირად მთხოვნელებს უხდებათ 60—70 ვერსტიდან ჩამოსვლა სამაზრო ქალაქში ჯანმრთელობის შესამოწმებლად, მაგრამ ხშირად ეს მგზავრობა მათ უცდებათ, რადგანაც ქალაქში ექიმი არ აღმოაჩნდება. ეს დეფექტები უმთავრესად მით აიხსნება, რომ ერობებს არ აქვს სოც. დახმარების განყოფილებანი. ამასთანავე საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც რომ ერობები შრომის სამინისტროს უგზავნიან უსაბუთო თხოვნებს დახმარების შესახებ.

— გზათა დეპარტამენტში. გზათა უწყების დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზოგიერთ მოთავსებული ცნობა ამის შესახებ, რომ ელექტრონის სადგურები 4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია სათბობი მასალით, სიმართლეს არ შეეფერება.

— ქალაქთა კავშირში. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა პრეზიდიუმის მოხსენება საქველმოქმედო ფონდიდან თანხების განაწილების შესახებ და დაადგინა: მიეცეს 1) სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს თეატრის მოსაწყობად 25000 მან. 2) ქ. ტფილისის პროფესიულ კავშირთა საბჭოს სახალხო უნივერსიტეტისა და მუშათა კლუბისათვის 50000 მან. 3) ,,ნაკადული“-სა და ,,ჯეჯილი“-ს რედაქციებს 10000 მან. თვითეულს. 4) საქართველოს ეროვნულ გუნდს—15000 მან. 5) სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას ღარიბ სტუდენტთათვის დახმარების აღმოსაჩენად 50000 მან., ისე, რომ ამ თანხის ნაწილი გადარიცხულ იქნეს ჟურნალ ,,მომავალი“-სათვის, 6) დედობისა და ბავშვების დამცველ საზოგადოებას უკვე მიცემულ 100000 მან. ზევით, მიეცეს კიდევ 50000 მან., 7) ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას უკვე მიცემულ 10000 მან. გარდა მიეცეს კიდევ 10000 მან.

— მთავარი კომიტეტის საგანგებო სხდომა შესდგება ღვინობისთვის 29-ს საღამოს 7 საათზე რომელზედაც მოსმენილ იქნება ბერგის მოხსენება—საქართველოში მუნიციპალური ბანკის დაარსების შესახებ.

**შ ცდომის გასწორება.**

„საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მოთავსებულ მოთხრობის ,,ფიცი“-ს ავტორი არის ყიფიანი და არა ფიფიანი.

## მასწავლებელთა მდგომარეობა.

**ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ დამფუძნებელი კრების სახელზე გამოაგზავნა შემდეგი წერილი: დამფუძნებელ კრებას.**

**ლაილაშიდან.**

ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა კავშირს არა აქვს საშუალება გამოგზავნოს წარმომადგენელი კონფერენციაზე და გამოსთქვამს თავისი გულის ტკივილს. სამი თვე გადის რაც მასწავლებლებს არ მიუღიათ ჯამაგირი: კავშირს არ აქვს საშუალება აუნაზღაუროს წარმომადგენელის გამოგზავნით და მიმოსვლის სიძნელით გამოწვეულ ხარჯები საერთო ღარიბული მდგომარეობასთან, რომელსაც განიცდის რესპუბლიკის მასწავლებლობა. ლეჩხუმის ამხანაგები კიდევ უარეს პირობებში იმყოფებიან ადგილობრივ პირობებისა და ერობის უმოქმედობის გამო. ვერავითარ დახმარებას სურსათ სანოვაგეს მხრივ მასწავლებლობა

## ფიცი.

(მოთხრობა).

გასაკვირველი ის კი არ იყო, ანთაურ ბურჯანაძის ქვრივს რომ საქათმე გაუტეხეს და სამი ინდაური მოჰპარეს, გასაკვირველი ის იყო, რომ მთელმა სოფელმა აზნაურმაცა და გლეხმაც, ერთ ხმათა სთქვა:

— ვინ გასტეხავდა საქათმეს, ვინ მოიპარავდა ინდაურებს? რასაკვირველია გარსია!

ყველა დაბეჯითებით ამტკიცებდა, თითქოს ეს კაცი ხელში ნაქურდალით დაეჭირათ, ან ვისმე დაენახოს, როდესაც ინდაურებს იპარავდა, ან ვისმე დაემოწმებინოს, რომ ის ამ ინდაურებს ან სჭამდა, ან და სხვაზე ჰყიდდა.

არც ერთი ამგვარი საბუთი ხელში არავის არ ჰქონდა, ყველა კი ამტკიცებდა:—ის არის, ის!.. სხვა არავინ!

გარსია იყო ზაზა ბურჯანაძის, სოფიოს მაზლის, მოჯამაგირე.

ვინ იყო, საიდან იყო, მისი ავან-ჩავანი არავინ იცოდა.

იყო, რასაც თვალით ჰხედავდი. შუა ხნისა, ჩასხვილებულ—ჩაკუნტებული ტანისა, სქელი, ქერა წვერ ულვაშით, იმერულად უქცევდა თვალს თუ მოაშორებდი, მუშაობაში ზარმაცობდა და ცუღლუტობდა, თუ თვალით უყურებდი მისი მუშაობა იყო აზრიანი და ბარაქიანი.

ლაპარაკით ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. მომეტებულ დროს ჩუმად იყო. პირიდან ჩიბუხს ერთ წუთს არ მოიცილებდა და წვრილი, ცოცხალი თვალებით მუდამ რაღაცას ეძებდა და ათვალიერებდა, ხოლო საუბრის დროს თვალებში არ შემოგხედავდა, თავს ან ძირს დაჰხრიდა, ან გვერდზე მიიღებდა და ამასთან ტუჩებზე, სქელ ულვაშების ქვეშ ისეთი ეშმაკური, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი უკრთოდა, რომ გულში გაუგებარი იჭვი გებადებოდა და ვერ გაგერჩია, რა ადამიანი იყო, პატიოსანი, თუ უპატიოსნო, ჭკვიანი, თუ სულელი, ფილოსოფოსი, თუ გაიძვერა კაცი.

ალბად ეს უკანასკნელი გარემოება იყო მიზეზი, რომ სოფელში რაც კი რამ დაიკარგებოდა, ყველა იმას აბრალებდა და ამასთან ყველა გაკვირვებული იყო, ისეთი მოხერხებით როგორ იპარავდა და ნაქურდალს ისე როგორ ჰმალავდა, რომ ხელის პირდაპირი დადება შეუძლებელი იყო.

უკანასკნელმა ქურდობამ სოფელი მეტად აღელვა. დღემდის დრო გამოშვებით იკარგებოდა თითო ქათამი, თითო ბატი, თითო გოჭი, დღეს სამი ინდაური ერთად დაიკარგა და ამ გარემოებამ ყველა ოჯახი მწარედ ჩააფიქრა.

ყველაზე მეტად, რასაკვირველია, გამწარებული იყო ინდაურების დამკარგავი.

საბრალო სოფიოსათვის ერთი მამალი და ორი დედალი ინდაურის დაკარგვა სახუმარო საქმე არ იყო.

— დავიღუპე, დავწელდი—შესჩიოდა ყველას, ვისაც კი შეხვდებოდა—ეს ხომ პირველი საქმე არ არის, შემოდგომაზე ახლად კვერცხ მოწყობილი დედალი დავკარგე, ახლა ეს ინდაურები, ასე თუ შემამეჩვია ეგ პირქუში და პირბნელი მთლად ამომაგდებს! მირჩიეთ რამე, დამეხმარეთ—ატირდებოდა ბოლოს სოფიო—მარტო ხელა ქალი ვარ, შიში მაგას არა აქვს ჩემი და რიდი.

სოფიოს ურჩიეს, პირდაპირ ხელი დაადე და მამასახლისთან უჩივლე, თუ მამასახლისი ყოჩაღად მიიქცა, გამოსტეხავსო. მამასახლისი მართლაც საქმე გულით მოეკიდა, გარსია ,,კანცელიარიაში“ დაიბარა, ფეხბი ბევრი უბრაგუნა: დაგიჭერ და ,,პრისტავთან“ წაგარდგენო. შემდეგ ერთი დღით ,,ნაობახტში“ ჩააგდო და თვითონ საქმის გამოძიებას შეუდგა. ბოსელში და ბოსლის უკან ინდაურების ბუმბული ეძებეს, შინაურებს გამოჰკითხეს, ქურდობის ღამეს გარსია სად იყო, სად ეძინა, როდის დაწვა, როდის ადგა, მაგრამ საეჭვო საგანი არა აღმოაჩნდა რა, გამოძიება დამთავრდა და სოფლის ცხოვრება კვლავ მიწყნარდა.

არ იქნა და არ დაწყნარდა მხოლოდ სოფიოს გული.

ყოველ დილას, როდესაც კი სოფიოს წვრილფეხს ნაკმაზს დაუყრიდა და ქათამი, ბატი და იხვი ერთმანეთში ირეოდა, ერთი ერთმანეთს თავზე ახტებო-

ერობისაგან ვერ ღებულობს; პირიქით ხაზინიდან მიღებულ ჯამაგირებს და სკოლების შესაკეთებლად თანხებს ერობის გამგეობა სხვა დანიშნულებას აძლევს. მშიერ შიშველი მასწავლებლობა სულს ღაფავს გაჭირვების მძიმე უღელ ქვეშ და არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. ასეთ პირობებში მყოფ მასწავლებლობას არ შეუძლიანთ პირნათლად შეასრულოს ნაკისრი მოვალეობა სკოლისა და საზოგადოების წინაშე, რომ მასწავლებლობამ ნორმალურად აწარმოვოს სწავლა-აღზრდის საქმე, დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილებანი. აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია გადიდდეს არსებული ჯამაგირები ორასი პროცენტით 2) მიეცეს სურსათ სანოვაგე იმ წესით როგორც არსებობს ქალაქის მუშა მოსამსახურეთათვის 3) ჯამაგირი ეძლეოდეს თავის დროზედ 4) ბინა, გათბობა, განათება 5) მომავალში ჯამაგირების გადიდება იმის მიხედვით, თუ რამდენად გაძვირდება (ცხოვრება 6) ხუთწლებულობისა და სხვა მოთხოვნილებებში უერთდებით დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დადგენილებას.

კავშირის გამგეობა.

# ჩვენი კორესპოდენტები

## აბაშის რაიონი.

როგორც ამბობენ დაბა აბაშაში გან- [illegible]

[illegible] ურნეობა გაჩაღებული, როგორც მაგალითად: პარკის, თხილის, დაფნასი სიმიდისა, ყველისა, საქონლისა და [illegible]

## ოზურგეთი.

[illegible] ნა, მაგრამ მწარმოებელი კი დააშინეს. სამაგიეროთ აქაური მოქალაქეთა მიერ შექმნილი კოოპერატივი სურთ წაართვან მოქალაქეთ და გადააკეთონ მუშათა „კოოპერატივად“ და დაუკავშირონ მუშათა მაგიდას. კარგია ჩვენ, რომ ბევრი მუშები გვყავდნენ, მაგრამ სოციალდემოკრატების ხელში ყოველ წარმოება დაეცა და აქ მუშები სადღა იქნება. მაგრამ სოციალდემოკრატებს სურთ სხვას მიერ შექმნილი კოოპერატივი დაისაკუთრონ, სხვას წაართვან წაგლიჯონ. ხელოსნები და ვაჭრები მოთმინებადაკარგულნი იმ გზას დაადგნენ, რომ დაუარსებიათ თავიანთი საზოგადოება და 19 ოქტომბერს ისარგებლეს ბ. ტ. მარგველაშვილის აქ ყოფნით, მოახდინეს კრება და თხოვეს ბ. ტ. მარგველაშვილს, როგორც დამაარსებელს ასეთ ორგანიზაციებისა სხვა და სხვა კუთხეებში, რომ რაიმე დახმარება და რჩევა მიეცა მას ოზურგეთის ხელოსან— ვაჭრებისათვის ბ. ტ მარგველაშვილმა მოკლეთ დაუსურათა კრებას მომავალ კავშირის ვაჭარ ხელოსანთა ორგანიზაციის წესი, მუშაობის გეგმა; მოიყვანა ინგლისის მაგალითები, ქუთაისის მაგალითი. კრებაზე აგრეთვე ილაპარაკეს ბ. ან. კალანდაძემ ელ. ანთელიძემ რ. ჩხაიძემ და სხვ. არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომისია შვიდი კაცისაგან, ყველა დარგებიდან თითო მოქალაქენი ძალიან მონდომებულნი არიან, ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას და იმედია მათი გამოღვიძება და საკუთარ ინტერესების შეგნება მალე ალაგმავს აქაც სოციალისტების აღვირახსნილობას.

გურული.

## სკოლების მდგომარეობა თერჯოლის თემში.

სკოლები ამ თემში განიცდიან კატასტროფიულ მდგომარეობას. დამტვრეული ფანჯრები, პირდაღებული კედლები, ახდილი სახურავი, აი მათი სამკაულები. ოთახებში თავისუფლად დანავარდობს ქარი. ქარი კი არა, მგონი, დათვიც გაეტევა კედლების ფიცრებში. მასწავლებლებს არა აქვთ ბინა, არ არის ცარცი, მელანი, შუშა, ნავთი ერთი სიტყვით ყველაფერში სიცარიელეა მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით. სკოლებს ნაკლები ყურადღება ექცევა. მასწავლებლებს კი ავალებენ წესიერად აასრულონ თავიანთი მოვალეობა. ყოვლად შეუძლებელი პირობებში თუ როგორ წესიერად აასრულებს მოვალეობას და იმაცადინებს მასწავლებელი თვით მკითხველმა განსაჯოს. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შეკეთება სკოლების. სათემო ერობას უნდა ეხმარებოდეს ამ საქმეში სამაზრო ერობა. სამაზრო ერობა კი ნაკლებ აქტივობას იჩენს სკოლების მიმართ. ახლავე ისეთი სიცივეები დადგა, რომ ბავშვები ძიგძიგობენ. რაღა იქნება ერთი თვის შემდეგ, როცა დიდამინწას თოვლი დაჰფარავს. ნუ თუ იგევე ის განმეორდება, რაც შარშან ხდებოდა, მასწავლებლები და მოწაფეები რომ სიცივით სულსა ღაფავდნენ? ბატონებო: მიაქციეთ ყურადღება სკოლებს და მასწავლებლებს. აკმარეთ სამშილი მასწავლებლობას და სიცივით მაინც ნუ მოკლავთ.

ვ. გუთნურ სპირელი.

---

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია

---

## მატარებელთა მიმოსვლა.

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

№ 3 ბათომისაკენ 10 ს. 58 წ. დილ.
ბათომში ჩადის 7 ს. 27 წ. დილ.
№ 9 ფოთისაკენ 5 ს, 34 წ. დღით
ფოთში ჩადის 10 ს. 45 წ. დილ.
№ 7 ბათომისკენ 10 ს. 28 წ. სად
ბათომში ჩადის 5 ს. 52 წ. სად.
№ 19 ბორჯომისკენ 3 ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის 11 ს. 25 წ. დღ
სალოღლისკენ 7 ს. 20 წ. დილ.
№ 4 სანაინისკენ 8 ს. დილ.
სანაინში ჩადის 5. ს. სად.
კახეთისკენ 8 ს. 30 წ. დილ.

### თბილისისკენ მოდიან.

№ 10 ფოთიდან 3 ს. 51 წ.
თბილისში მოდის 9 ს. 16 წ. დილ.
№ 4 ბათომიდან 4 ს. 9 წ. დღ.
თბილისში მოდის 1 ს. 1 წ. დღ.
№ 8 ბათომიდან 11 ს. 37 წ. ღამ.
თბილისში მოდის 7 ს. 36 წ. ღამ.
№ 20 ბორჯომიდან 12 ს. 22 წ. ღამ.
თბილისში მოდის 7 ს. 47 წ. დილ.
სალოღლიდან 12 ს. 10 წ. დილ.
№ 4 სანაინიდან 7 ს. 30 წ: დილ.
თბილისში მოდ. 3 ს. 20 წ. დღ.
კახეთიდან თბილისში მოდ 8 ს. 20 წ. ს.

---

[illegible]

დატოვა ათი დღის სახნავი მიწა, ლობეებ დანგრეული პატარა სახლ-კარის ადგილი, და ხის სახლი, რომელიც მუხის წვრილ ბოძებზე იმ გვარად იდგა, რომ უთუოდ გაიფიქრებდი, ღონიერმა კაცმა ფეხი რომ ჰკრას, ეს სამ თვალიანი სახლი ხომ გადაწვება და ხუხულასავით დაინგრევაო. ამის გარდა ქმრის შემდეგ სოფიოს დარჩა ერთი პატარა ძროხა, ორი დეკეული, ერთი დედა ღორი და ოთხი ქორფა შვილი.

მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალი სულით არ დაეცა ოჯახს მაგრად მოეკიდა და იმდენი უნარი და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ მთელი სოფელი გააკვირვა. ოთხს პატარა შვილს არამც თუ აჭმევდა აცმევდა და ახურავდა, ქალაქში სასწავლებლებში ზრდიდა, რაც მაზე უფრო შეუძლებელ მაზლებსა და ნათესავებს ძალიან უნდოდათ, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ.

შემოსავლის წყაროდ ჰქონდა ზევით აწერილი სახლი, რომელსაც ზაფხულობით ქალაქიდან მოსულ მოაგარაკეთ აქირავებდა და მთელი ზაფხულის განმავლობაში იმათვე აძლევდა რძესა, ყველს კვერცხსა, ქათამს და სხვა და სხვა ბოსტნეულობას, ამ გვარად წშემოდგომისთვის მოაგროვებდა ოცს, და ოცდა ათ თუმანს. შვილებს ქალაქში წაასხამდა. დააბინავებდა, თვითონ უკანვე დაბრუნდებოდა და ნახევრად მშიერი, დაგლეჯილ დაფლეთილი ისევ ისე გროშზე გროშს ადებდა და მეორე წლისთვის ემზადებოდა.

ამიტომ იყო, რომ თითო კვერცხსა თითო ქათამს მისთვის დიდი ფასი ჰქონდა და ამიტომ იყო, რომ სამი ინდაურის დაკარგვას ვერ შერიგებოდა.

ერთ ასეთს დილას, როდესაც სოფიო წვრილფეხს აჭმევდა და როდესაც გული მეტის მეტად დაეწვა, რადგან მეზობლის ინდაურები მის ეზოში შემოსულიყვნენ და უგზო-უკვლოდ დახეტიალობდნენ, მწარე ფიქრების შემდეგ, უცბად შეკრთა და ერთ წერტილს მიაჩერდა.

თავში ერთმა აზრმა გაურბინა და შეეცადა ეს აზრი კარგად აეწონ დაეწონა და ისე განეხორციელებინა.

[illegible] ზლის სახლისკენ, სადაც გარსია მოჯამაგირედ იდგა.

— ზაზა, შენ გენაცვალე, ამ საქმეში უნდა, დამეხმარო შენი შიში და რიდი აქვს, უარს ვერ გეტყვის, თუ უარი სთქვა, მაშ პირშავი!—ემუდარებოდა სოფიო თავის მაზლს, რომელიც საზოგადოდ უკმაყოფილო იყო, რომ მას მოჯამაგირეს ქურდობას აბრალებდნენ და სოფიომ ხომ თავისი წუწუნითა და ჩივილით საქმე გაუჭირა.

— ქალო, გეუბნები, არ დაიფიცებს უმტკიცებდა მაზლი—თუ არ დაიფიცებს, რა ძალა გვაქვს. ან შენ, ან მე, რომელი „სუდია“ ვართ, რომ დავაფიცოთ!

დიდხანს იყო მაზლი უარზე, მაგრამ როდესაც სოფიომ ტირილი დააწყო და ტირილში მოსთქვამდა, რომ პატრონი არა ჰყავს, რომ მაზლები მფარველობას არ უწევენ, რომ მათი ძმის ობრად დარჩენილ ცოლს ყველა სჩაგრავს და სხვა და სხვა, მაზლი მოლბა და უთხრა:

— კარგი, ქალო, კარგი! ვეტყვი. დამერწმუნე, ყოველ ზომას მივიღებ, მაგრამ თუ უარი სთქვა, კიდევ გიმეორებ, ძალას ვერ დავატანთ.

— დაე, სთქვას უარი!—წამოიძახა იმედმოცემულმა სოფიომ—მეც ეგ მინდა, რომ უარი სთქვას!

ამის შემდეგ რძალმა და მაზლმა მშვიდობიანად მოილაპარაკეს, გარსიას დაფიცება როგორ და რა რიგად უნდა მომხდარიყო. მაზლი იმ აზრისა იყო, რომ გარსია ეკლესიის კარებთან მიეყვანათ და იქ დაეფიცებინათ, მაგრამ სოფიომ ხელები გაატანა:

— არა, ჩემო ზაზა, არა! როგორც წესია, ფიცი ისე უნდა მოხდეს. უნდა უსათუოდ წაჰყვიდეს ეკლესიაში. მღვდელი შემოსილი უნდა იყვეს და ჯვარზე და სახარებაზე უნდა დაიფიცოს!...

მეორე დღეს მაზლმა სოფიოს შეატყობინა, გარსიამზად არის, როგორც გინდათ ისე დაიფიცებს, მხოლოდ იმ პირობით თუ ეკლესიაში მღვდელისა და სოფიოს მეტი არავინ იქნებაო.

ღვთის მოყვარე გულ კეთილი, ღრმა მოხუცი მღვდელი დაფიცებაზე და დაფიცების ყველა პირობებზე დასთანხმდა და მღვდელი; სოფიო და გარსია იმავ დილით ეკლესიაში რომ შევიდნენ, კარები შეიხურეს და სამივემ ნნათეს სინ-ხოვე. კარებთან გაჩერებული იყო და ეკლესიაში არავინ შემოეშვა.

სამივემ პირჯვარი გადაიწერეს და სანამ სოფიო და გარსია ხატების წინ სანთლებს ანთებდნენ, მღვდელი შეიმოსა, საკურთხეველთან ჯვარი და სახარება გამოასვენა, ეკლესიის შუაგულში ანალოგიაზე დააწყო, პირჯვარის წერით ორივეს ენთხვია და გარსიას მიუბრუნდა:

— მაშ დაიფიცებ, რომ შენ ქალბატონ სოფიოსთვის ინდაურები არ მოგიპარავს?

გარსია შეიშმუშნა და პატარა ხანს უკან თავ-აწეულმა მტკიცედ წარმოსთქვა:

— დავიფიცებ! რატომაც არ დავიფიცებ! გული ადამიანს თუ მართალი აქვს, რისა უნდა ეშინოდეს!

სოფიოს გული მიეცა. შიში ჯერ მაშინაც იგრძნო, ზაზამ რომ შეატყობინა, მზად არის დაიფიცოსო. ვაი თუ ვატყუვდები და ალალ მართალ ადამიანს ტყუილად ბრალსა ვდებო, მაგრამ სოფიოს ყველა არწმუნებდა, სტყუის, არ დაიფიცებს. უკანასკნელ წუთს ან გამოტყდება, ან არა და დაფიცებაზე უარს იტყვისო. ახლა ამ შემოსილ მღვდელსა, ჯვრისა და სახარების წინაშე გარსიამ დაფიცების სურვილი ასე მტკიცედ, რომ განაცხადა, სოფიოს შიშით აცახცახებდა და ის იყო დაფიცებაზე უარი უნდა განეცხადებინა, რომ მღვდელმა ლმობიერად და მამაშვილურად წარმოსთქვა:

— შვილო, გარსია, ტყუილად დაფიცვა, იცოდე, უდიდესი ცოდვაა. ამ ჯვრისა და სახარების მადლი არ გახეირებს. საიქიოსაც და სააქაოსაც ამ ცოდვას ღმერთი მოგკითხავს.

— მე გული მართალი მაქვს, მამაო, ეს ღმერთმა კარგად იცის და ცოდო და მადლი იმას მოეკითხება, ვინც მე ძალად მაფიცებს,—იმავე მტკიცე კილოთი მიუგო გარსიამ.

— ჩემო გარსია!—ვეღარ მოითმინა და აღელვებული ხმით მიუბრუნდა სოფიო—შენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვისაც, რომ დაიფიცო შენ თავიდან ბრალს მოიხსნი, მეც დავმშვიდდები, თორემ ძალას ვერ დაგატან, თუ გინდა ნუ დაიფიცებ, როგორც მოვსულვართ, ისევ წავიდეთ.

— ძალას ჩვენ არ გატანთ,—დაუმატა მღვდელმაც—დაიფიცებ შენი ნებაა, არ დაიფიცებ, შენი ნებაა.

მაგრამ გარსიას, როგორც ეტყობა, ეს კომედია ძალზე მოსწყინდა, რადგან ორი ნაბიჯი წინ წამოდგა, ანალოღიას მიუახლოვდა და გაჩერდა.

— მამაო, მეჩქარება, საქმე მაქვს, აი, ვიფიცებ!—ამ სიტყვებით ანალოღიას ხელი დაადო, სოფიოს მიუბრუნდა და გარკვევით, მტკიცეთ წარმოსთქვა:

— ქალბატონო, ამ ჯვრისა და სახარების მადლმა მკითხოს და შემრისხოს, ღმერთმა ქვეყნად არ მახეიროს თუ მე შენთვის ინდაურები მომეპაროს! ხომ კმარა, მამაო!—მიუბრუნდა შემდეგ მღვდელს.

— კმარა, შვილო!—უბრალოთ ხმით მიუგო მღვდელმა.

— მაშ თავისუფალი ვარ?

— თავისუფალი ხარ!—იმავე დაბალი ხმით უპასუხა მღვდელმა და პატარა ხანს უკან აღელვებული ხმით დაუმატა: წადი და ღვთის კურთხევა სიცოცხლეში არ მოგაკლოს და ჩვენ, მეც და ამ საბრალო ქალსაც შეგვინდე, ნუ შეგვიწყრები!... აი ამაზეა ნათქვამი, ქურდმა ერთი ცოდვა ჩაიდინა, დამკარგავმა ათასიო!—საყვედურის თვალით გადახედა სოფიოს და საკურთხეველისკენ გაემართა.

სოფიოს მუხლები ჩაჰკეცოდა და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიყუდებოდა, მღვდლის უკანასკნელ სიტყვებზე შეკრთა, მუხლებში გასწორდა გადაფითრებული სახით გარსიას მიუახლოვდა.

— გარსია!—გრძნობით წამოიძახა და ცრემლი ვეღარ შეიმაგრა—მაპატიე... ნუ დამემდურები! რაცქნა, სხვებმა უფრო გამაგიჟეს. ამ ჩემ დანაშაულობას შენს წინაშე რითაც იქნება გადაგიხდი!—ამ სიტყვებით ჯიბიდან ამოიღო მომჩვარებული, ჭუჭყიანი ცხვირსახოცი, კვანძი გამოხსნა, ამოიღო ერთი ვერცხლის მანათიანი და გარსიას გაუწოდა—აი, ჯერ-ჯერობით! მერე მე ვიცი შენი პატივის ცემა!

— რად გინდა, ქალბატონო!—მიუგო ღიმილით გარსიამ—რაც იყო, იყო. მე არ გიმდურებით, გმადლობთ, მშვიდობით მრძანდებოდეთ!—გარსიამ ფული გამოართვა და კარებისაკენ გასწია.

სოფიო ბარბაცით საკურთხევლის მიახლოვეს მდგომ მაგიდას მიუახლოვდა, ფული მაგიდაზე დააწყო, ორი წმიდა სანთელი აიღო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დიდ ხატთან მიიტანა, დაანთო, დაიჩოქა და გულმხურვალეთ იწყო ლოცვა.

ეს ამბავი იმ ვე დღეს მთელს სოფელს მოედვა, სოფლის მთელი ხალხი ალაპარაკდა და გარსია ყველას თვალში გმირად დაისახა.

ადამიანს ცილი დაწამეს. ფიზიკურად თუ არა, მორალურად მაინც დასაჯეს. სიმართლემ გაიმარჯვა, უდანაშაულო ადამიანი გამართლდა. და ამ გამარჯვებაში ბევრნი თავის დამარცხებასაც ჰხედავდნენ, გამარჯვებულს დამარცხებულებისაგან ჯილდო ეკუთვნოდა და სხვა რამ რომ ვერა განიზრახეს რა, შეხვედრის დროს გარსიას ხალხი ღიმილით შემკულ სალამით აჯილდოვებდა:

— ოჰ, გარსიას გაუმარჯოს, გარსიას!

— საით გასწიე, გარსია?, დაჯექ, დაისვენე ხომ კარგად, მშვიდობით!

იმ დღესა და მეორე დღეს გარსიას ჰქონდა, თუ არა ჰქონდა, სოფლის ყველა უბანი მოიარა და ყველგან ამ გვარ მოკითხვას ღებულობდა.

გარსიას ქალბატონმა იმ ღამეს კარგ ვახშამი აჭამა, ერთი ბოთლი ღვინო დაალევინა და საოჯახო საქმეებზე დიდ ხანს ემუსაიფა.

ცუდი აზრი ყველას შეეცვალა და თუმცა ფიცს შესახებ არავინ არაფერს არ ეუბნებოდა, ყველა ერთ და იგივეს აგრძობინებდა; ვიცით, რაც ცილი დაგწამეს, ვიცით რომ უდანაშაულო ხარ და ამიტომ პატივსა გცემთო.

მხოლოდ მთელ სოფელში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც საყოველთაო აზრს არ იზიარებდა, ეს იყო იმავე ოჯახში მოსამსახურე, იმავე სოფლის გლეხის ახალგაზრდა ქვრივი მარო, რომელიც ეს ორი დღეა გარსიას ალმაცერად უყურებდა, შეკითხვებზე პასუხს არ აძლევდა და ორს გვერდით ერთი წუთითაც არ ჩერდებოდა.

მესამე დღეს, საღამოზე, როდესაც მათი ბატონები მეზობელთან სტუმრად ჩაიზე წავიდნენ და სახლში მარტო გარსია და მარო დარჩნენ, გარსიამ მარო ოთახიდან ოთახში კარგახანს ზდია, ბოლოს ერთ კუნჭულში მიამწყვდია და გაჯავრებულმა ჰკითხა:

— დედაკაცო, რაზე მიწყრები, არ უნდა მითხრა?

მარომ ხელი ჰკრა და უკან დაახევინა.

— იქით! მე შენ ხმას არა გცემ!

— რაზე, რა დაგიშავე?—ჩაეკითხა გარსია.

— უსვინდისო ყოფილხარ! ტყუილად დაიფიცე?—უთხრა ბოლოს მარომ.

— ჰოო, მაგაზე მიწყრები? უი, რა სულელი ყოფილხარ!—გადიხარხარა გარსიამ და ხელი წაატანა, უნდოდა წელში მოეხვია, მაგრამ მარომ კვლავ ჰკრა ხელი და შეუტია:

— მე მაინც ნუ მეუბნები, შე უსირცხო, შენა! მე ხომ ვიცი, რომ ინდაურები შენ მოიპარე, ორი დღე და ღამე ბუჩქებში ფეხებით დაბმული გყავდა, შემდეგ ღამით ხაშურში წაასხ ჯდარიქ გაყიდე, შენ გგონია, არ ვიცოდი ეს? ვიცოდი, მაგრამ ჩუმად ვიყავი. ამის შემდეგ მიდიხარ და ეკლესიაში სახარებაზე იფიცავ, მე არ მამიპარავსო. იცი, ქურდობას ღმერთი გაპატიებს, ტყუილ ფიცს კი არა!

— მერე, შე ტუტუცო, დავიფიცე ინდაურები მე არ მამიპარავს მეთქი—ისევე სიცილით ჩაეკითხა გარსია და ისევ მიუახლოვდა.

— დაიფიცე მაშა! მაშ რა იყო, თუ არ დაიფიცე!—გაკვირვებით შესძახა მარომ.

— არა, დავიფიცე, მაგრამ როგორ დავიფიცე!

— რა ვიცი, როგორ დაიფიცე!

— არა რა ვსთქვი როდესაც დავიფიცე!

— რა ვიცი, რა სთქვი!

— აი, რა ვსთქვი, შე სულელო შენა, ყური, კარგად დამიგდე! მე ვსთქვი: ქალბატონო, თუ მე შენთვის ინდაურები მომეპაროს, ასე და ისე მამივიდეს მეთქი.

— მერე, ეგ ფიცი არ არის?

— არა!

— როგორ? მაშ არ მოგიპარავს?!

— მოვიპარე, მაგრამ იმისთვის კი არ მოვიპარე, ჩემთვის მოვიპარე.

მარომ პირი დააღო, გარსიას სიტყვებს კარგა ხანს უკვირდებოდა, ბოლოს სახე გაეშალა, გაიღიმა და, როდესაც გარსიამ წელში ხელი მოხვია და გულზე მიიკრა, ლოყაზე ხელი ნაზად შემოჰკრა.

— აი, შე ეშმაკო, შენა!—ალერსით წარმოსთქვა და მთელი ტანით მიეკრო.

აბა, რომელი ქალი გაუძლებდა იმ მამაკაცის ალერსს, რომელმაც ღმერთის მოტყუილებაც კი შესძლო!

ხგ. ფოფიანი.


[illegible] ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
[illegible] ქუჩ. № 3 ტელეფ. 9—34.
№ 3207.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხილ [illegible]
[illegible]
3102. თვ.

[illegible] ექიმი
[illegible]
მიღება დილით 10-12 ს. [illegible]

თვალები - ავადმყოფ[illegible]
ექიმი
მ. გოლუბეინი
[illegible]

# განცხადება

# ე. ცინდელი

სოლოლაკი 3

იაფ ფასებში ჩვენ ვაწვდით მყიდველებს:

დრაპს ქალის და კაცის პალტოსათვის 2,600 მანეთიდან
მაუდს „ „ „ 3,000 მანეთიდან
ტრიკოს „ „ „ 2500 მანეთიდან
ზამშს (მაუდისა) პალტო და ფრენჩი 3000 მანეთიდან
შევიოტს 2 არშინი, ლურჯი ფერისა კოს. 1600 მანეთიდან
თხელ მაუდს (шерстинъ) ტანისამოსისთვის და კაპოტისთვის 800 მანეთიდან
შევიოტს შავი 2 არშინი სიგანით 1600 მანეთიდან
შოტლანდიურს (Шотланки) სხვადასხვა ტან. 500 მანეთიდან
ნანსუკს ქალების თეთრეულობისათვის 450 მანეთიდან
ბაიკას კრემ. 2 არშ. სიგანით 950 მანეთიდან
გაბარდინს ტანისამოსისათვის 2400 მანეთიდან
აბრეშუმს ტანისამოსისთვის სხვადასხვა ფერს.